საინფორმაციო დოკუმენტი

წინამდებარე დოკუმენტით შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტორი“ უზრუნველყოფს მომხმარებლებისათვის (მიმდინარე ან პოტენციური კლიენტები, საკონტაქტო პირები, უზრუნველყოფის მიმწოდებლები, სხვა დაკავშირებული პირები), როგორც მონაცემთა სუბიექტებისათვის, სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით როგოც ინფორმირებული თანხმობის მოპოვების მიზნებისათვის ასევე მონაცემთა სუბიექტებისათვის მათი უფლებების და ამ უკანასკნეთა რეალიზებისათვის საჭირო ინფორმაციის მუდმივ ხელმისაწვდომიბას.

- <u>დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი:</u> შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტორი“ მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემებთან მიმართებაში როგორც მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირი. რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი: 0322373375, 557373379 ვებ გვერდი: www.creditor.ge
- <u>დამუშავებისთვის უფლებამოსილი პირი:</u> პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი ბიზნეს და საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილების საჭიროებებიდან გამომდინარე შესაძლოა იყენებდეს როგორც სხვა დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირთა მონაცემთა ბაზებს, ასევე მონაცემების დამუშავებას ახორციელებს მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ მონაცემების დამუშავების პროცესში მონაწილეობას მიიღებს უფლებამოსილი პირი, მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის წინასწარი ინფორმირება იქნება უზრუნველყოფილი ზეპირი ან სხვა დასაშვები ფორმით, ხოლო მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე წერილობითი ფორმითაც.
- <u>დამუშავების საფუძველი:</u> პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება მომხმარებლის ინფორმირებული და ნებაყოფლობითი თანხმობის საფუძველზე ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლ(ებ)ით, მათ შორის ლეგიტიმური ინტერესის დაცვის მიზნით, რაც შეიძლება იყოს დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის ან მისი სხვა მომხმარებლების ფინანსური ან სხვა სახის ზიანის პრევენცია/ანაზღაურება, უსაფრთხოება ან/და მომხმარებელთა გაფორმებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მოთხოვნათა რეალიზაცია;
- <u>დამუშავების მიზანი:</u> პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება მომხმარებლის მომართვის საფუძველზე ფინანსური მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო მოცულობითა და მიზნით, მათ შორის პირის იდენტიფიცირების, ფინანსური ანალიზის ჩატარების , მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, პირდაპირი მარკეტინგის ან/და სხვა საკანონმდებლო მოთხოვნების / ლეგიტიმური ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით;
- <u>მონაცემთა მიწოდების სავალდებულოობა:</u> გამომდინარე იქედან, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავების გარეშე შეუძლებელია მომხმარბელთათვის ფინანსური მომსახურების გაწევა, მონაცემების დამუშავება სავალდებულოა. შესაბამისად მონაცემების დამუშავებაზე უარის თქმა გამოიწვევს მოთხოვნილ მომსახურების მიღებაზე უარს. აღნიშნული დათქმა არ ეხება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის საფუძველზე განხორციელებულ მონაცემთა დამუშავებას, მათ შორის პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავებას, რადგანაც აღნიშნულზე ვრცელდება ნებაყოფლობითობის პრინციპი და შპს კრედიტორის მხრიდან სრულად უზრუნველყოფილია თანხმობის გამოხმობის შესაძლებლობა.

- <u>პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი:</u> პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერია (გვანცა აბესაძე).
- <u>მონაცემთა მიმღები:</u> პერსონალურ მონაცემთა მიმღები შესაძლოა იყვნენ მხოლოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო(ები), მათ შორის მარეგულირებელი და ზედამხედველი ორგანოები, როგორიცაა საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსური ზედამხედველობის სამსახური, ასევე საქართველოს სახალხო დამცველი, სსიპ შემოსავლების სამსახური, სამართალდამცავი ორგანოები და სხვა, კანონმდებლობით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში და საფუძვლით, რის გადამოწმებასაც უზრუნველყოფს მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი.
- <u>მონაცემთა შენახვის ვადა:</u> პერსონალური მონაცემების დამუშავება, მათ შორის შენახვა ხორციელდება როგორც აქტიური საფინანსო პროდუქტით სარგებლობის ვადით, ასევე მისი დასრულების შემდეგაც, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად და კომპანიის ლეგიტიმური ინტერესის დაცვის ფარგლებში.
- <u>მონაცემთა სუბიექტის უფლებები:</u> მონაცემთა სუბიექტს, გააჩნია ინფორმაციის მიღების, მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების, მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების მოთხოვნის, დამუშავების შეწყვეტის, წაშლის, განადგურების, დაბლოკვის, გადატანის მოთხოვნის, თანხმობის გამოხმობისა და გასაჩივრების უფლებები, რომელთა რეალიზებისთვის კომპანია უზრუნველყოფს სათანადო მექანიზმების ფუნქციონირებას კომპანიაში.